

„საერთაშორისო აკადემია ლოგოსი“

სახელი, გვარი

თარიღი:2017 წელი

X კლასი

(30 ქულა)

(10) გოდერძი ჩოხელი - შულლიანი გივი

შულლიანთ გივიმ უკან მოიხედა და შეეშინდა. არა, გზაზე კი არ მოიხედა, თავის თავის ცხოვრებას მოხედა უკან. ვერ შეამჩნია, როდის გაიპარა ამდენი დრო. ქორწილებში დადიოდა, სვამდა, ლექსობდა. სადაც კარგ მოკაფიავს დაიგულეზდა, იმასთან მიდიოდა. ნადირობდა. დღეს უკან მოიხედა და მიხვდა, რომ დიდი დრო გალეულა. იმის ხნის კაცებს შვილები და შვილიშვილები ჰყავთ უკვე.

უკვე გვიანია ცოლ-შვილზე ფიქრი. დაგვიანებულია ყველაფერი.

გივი ცხენიდან ჩამოხდა და ფეხით წავიდა სოფლისაკენ. შავი ცხენი მორჩილად აედევნა უკან.

გივიმ ცხენს მოხედა. ცხენიც დაბერებულა. ახლავ იფიქრა იმაზე, რომ დიდი ხანია, რაც ეს ცხენი ჰყავს. - ან კი როგორღა დარბოდა, - გაუკვირდა გივის, როცა მესხიერებაში ცხენის წლოვანება აღიდგინა.

(V)სოფლის ორლობებში დაფიქრებულმა აიარა. ყველას გაუკვირდა მისი დაფიქრებით სიარული. თავისი გამოქვაბულის კარი შეაღო, შევიდა და მიწაზე დაყრილ ხმელ ჩალაზე წამოწვა გულაღმა. რატომ მოეჩვენა, რომ საკუთარი თავი დაკარგა. უფრო მაგრა შეეშინდა. ადგა ცხენს გამოხედა გარეთ. ცხენი იწვა და კვდებოდა. ახლოს მივიდა, თავი აუწია და თვალეზში ჩახედა. ცხენის თვალეზში საკუთარი სახე დაინახა და უფრო შეეშინდა. მთლად გაჭადარავებულა. არა, ეს ის არ არის, გივის რატომღაც სულ სხვანაირი ახსოვს თავი. ნუთუ ამდენი დრო გავიდა?!

ცხენს თვალეზიდან ცრემლები გადმოსცვივდა. გივიმ ხელებზე იგრძნო მათი სიმხურვალე. ცხენმა ფეხები გაჭიმა, მერე თავი წამოსწია და ისევ ფრთხილად დადო მიწაზე.

(VII)გივიმ საშინელი სიმარტოვე იგრძნო. რატომღაც მოეჩვენა, რომ ის არ არის, ვინც აქამდე იყო. ეს სულ სხვა კაცია. შულლიანთ გივი სადღაც გაქრა, უცებ დაიკარგა, თითქოს არც ყოფილა. არადა გივის ახსოვს, რომ იყო, ესეთი კი არა, სულ სხვანაირი, ეს სულ სხვა კაცის სხეულია და როდის ჩასახლდა აქ მისი სული, გივიმ არ იცის, ვერ გაიხსენა. სოფელში გავიდა და საკუთარ თავს დაუწყო ძებნა.

სუყველანი აქ არიან: ჯღუნაი, ბერი, ვახტანგი, პოვლიაი, მათი შვილები, მათი საქონელი, ესენი ისევ ისინი არიან. გივის უნდა, რომ ჰკითხოს მათ - შულლიანთ გივი ხომ არ გინახიათო - მაგრამ რატომღაც ხმას არ იღებს. ისინი გაოგნებულნი უყურებენ.

მერე ყველგან ეძებს თავის თავს და მაინც ვერსად ვერ იპოვის. სული თანდათან ევსება შიშით და სახლისაკენ მიდის.

ბნელ ოთახში, მიფენილ ჩალაზე გულაღმა წევს და გრძნობს, როგორ უჭირს მის სულს ამ უცხო სხეულთან შერიგება.

შემოხაზეთ სწორი პასუხები, ან წერილობით უპასუხეთ კითხვებს:

1. (1) დაასათაურეთ პირველი აბზაცი (სათაური უნდა გამოხატავდეს აბზაცის მთავარ სათქმელს):

ა) შუღლიანი გივის შიში;

ბ) შუღლიანი გივის დაკარგული დრო;

გ) შუღლიანი გივის ფიქრები;

დ) შუღლიანი გივის შთამომავლობა.

2. (1) რომელი ფრაზა გამოხატავს გივის შიშის გამომწვევ მიზეზს?

ა) „ცხენიც დაბერებულა“;

ბ) „ნუთუ ამდენი დრო გავიდა?!“

გ) „დაგვიანებულია ყველაფერი“;

დ) სამივე ჩამოთვლილი ვარიანტი.

3. (1) რა საერთო აქვთ ცხენსა და გივის?

.....

4. (2) როგორ ფიქრობთ, რატომ გაუკვირდა ყველას გივის დაფიქრებით სიარული?

.....

.....

5. (2) თქვენი აზრით, რისი თქმა სურს ავტორს ცხენის ტირილით?

.....

.....

6. (1) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი სათაური გადმოსცემს ზუსტად V აბზაცის მთავარ სათქმელს?

ა) ცხენის სიკვდილი;

ბ) გივი და ცხენი;

გ) დაფიქრებული შუღლიანი გივი; დ) საკუთარი თავის შეცნობა;

7. (2) როგორ გესმით „საკუთარი თავის დაკარგვა“?

.....

.....

8. (1) წაიკითხეთ VII აბზაცი. რას გამოხატავს სიტყვები „ეს სულ სხვა კაცია“:

ა) გივი გრძნობს, რომ სხვათაგან გამორჩეულია;

ბ) გივი ისეთივე დაუფიქრებელია, როგორც უწინ;

გ) გივი გრძნობს კონტრასტს განვლილ ცხოვრებასა და სიბერეს შორის;

დ) გივი აღტაცებულია, იმით რომ მან საკუთარი თავი იპოვა.

9. (2) იმსჯელეთ, რატომ ეუცხოება გივის თავისი სხეული და უჭირს მასთან შერიგება?

.....
.....
.....

10. (1) რა ეპითეტს იყენებს ავტორი გივისთან მიმართებით?

.....

(10) გაასწორეთ მოცემულ მონაკვეთებში დაშვებული მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული და პუნქტუაციური ხარვეზები.

2 შეცდომა

1. (2) X-ე კლასელმა დიმიტრიმ დაუკითხავათ დატოვა კლასი.

4 შეცდომა

2. (4) მასწავლებლები მოსწავლეები და დირექცია ერთი სხეულია, რომლის ერთერთი ნაწილის შელახვის დროს ყოველი მათთაგანი დაზარალდება, ამიტომ უნდა გაავანალიზოთ ერთმანეთის საჭიროება.

4 შეცდომა

3. (4) 12-ე საუკუნეში, დ. აღმაშენებლის მეფობისას, ჰერეთი საბოლოოთ იქცა გაერთიანებული ქვეყანის ნაწილად.

(10) არგუმენტირებული ესე

მსოფლიოში ბევრი მოზარდი იზრდება ქუჩაში. საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ ისინი საფრთხეს უქმნიან გარშემომყოფთ და ვერასდროს გახდებიან საზოგადოების ღირსეული წევრები.

